საჯარო სამართლის იურიდიული პირი _

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/140

10 სექტემბერი, 2019 წ. ქ. ბათუმი

,,ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე 2019-2020 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებისა და საგამოცდო კომისიების შექმნის შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2019 წლის 23 აგვისტოს N01-02/135 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-14 მუხლის, „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, ,,2019-2020 სასწავლო წელს ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 აგვისტოს №06-01/100, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, მ. გიორგაძის 2019 წლის 9 სექტემბრის MES 7 1901153585 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება **,,ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე 2019-2020 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებისა და საგამოცდო კომისიების შექმნის შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2019 წლის 23 აგვისტოს N01-02/135 ბრძანებაში, კერძოდ შეიცვალოს ბრძანების დანართი №6 და №7 ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში მისაღები გამოცდის და სააპელაციო (უცხო ენაში) კომისიების ნაწილში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი-1-ის შესაბამისად.**
2. დაევალოს კანცელარიას განათავსოს ბრძანება კანცელარიასთან და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
3. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ამ ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს, ქალბატონ თამარ სირაძეს.
5. წინამდებარე ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (რექტორის მოადგილეებს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის

10 სექტემბრის N 01-02/140 ბრძანების

დანართი 1

საგამოცდო კომისია ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში მისაღები საგამოცდო კომისია ინგლისურ ენაში ლინგვისტიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის

ინგლისური ენა

1. ასოც. პროფესორი ნინო დვალიძე (თავმჯდომარე);
2. ასოცირებული პროფესორი თეა შავლაძე (მდივანი);
3. ასოცირებული პროფესორი ნინო არუშიძე;

სააპელაციო კომისია ბსუ-ს დოქტორანტურაში მისაღები გამოცდის (ინგლისური ენაში) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლინგვისტიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის

საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე - რექტორის მოადგილე, პროფესორი თამარ სირაძე

უცხო ენაში მისაღები გამოცდების (ლინგვისტიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე)	1. ასისტენტ პროფესორი ნანა მაზმიშვილი 2. ფილოლოგიის დოქტორი ნინო დონდოლაძე